პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა
1 აპრილი
1956 წელი
№ 27 (937)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

საჯარ ბიბლიოთ ილის

დიდი ფეხბურთი

ნ, ბაქოში და ერე- ტარებული მატჩე- დაიწყო ფეხბურთში შორის 1956 წლის პირველობა. ჩვენი ქვეყნის ის სახელს ერთმანეთს შეეცილება 12 უძლიე- კოლექტივი, ხოლო „ა“ კლასში თამაშის უფლების ვებლად იბრძოლებს 36 გუნდი.

ბურთმა — სპორტის ამ ჭეშმარიტად მასობრივმა ამ დიდი განვითარება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. წლიურად იზრდება ფეხბურთის სექციებში მო- ნეთა რიცხვი, მაღლდება წამყვანი კოლექტივების სმენთა ოსტატობა. გასულ წელს ჩვენი ქვეყნის რესმა გუნდებმა წარმატებით ჩაატარეს მრავალი შორისო შეხვედრა, რომელთაგან უმრავლესობა უცხო ქვეყნების სპორტსმენებთან რეგულარულ- ჩებმა კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი ფეხბურთე- თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა. სხვადასხვა ქვეყნე- ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტები საბჭოთა რთელებს მსოფლიოში უძლიერესებად თვლიან.

უფრო მდიდარი და საინტერესო იქნება მიმდი- სეზონი. ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების რებლად სსრ კავშირს ეწვევიან ინგლისის, იტალიის, ნგეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პორტუგალიისა ქვეყნების გუნდები. მატჩები ჩატარდება მოსკოვში, გრადში, კიევში, თბილისსა და ჩვენი სამშობლოს სხვა ებში.

ულ წელს ჩვენი რესპუბლიკის წამყვანმა კოლექტი- „დინამომ“ და ოფიცერთა სახლის გუნდმა წარუმატებ- დაამთავრეს სეზონი. პირველი მხოლოდ მე-9 ადგილით ყოფილდა, ხოლო არმიელმა ფეხბურთელებმა გათამა- ფინიშზე ზედიზედ რამდენიმე დამარცხება განიცადეს ჯარად დაჰკარგეს „ა“ კლასში თამაშის უფლება.

თვალისწინეს რა გასული წლის ჩავარდნები, აღნიშნუ- გუნდები ნაყოფიერად მოემზადნენ ახალი საფეხბურთო ნისათვის. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ „დინამოსა“ და ერთა სახლის გუნდების შემადგენლობაში შეყვანილ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებთანაც ენერგიული ნით ჩვენი რესპუბლიკა მიიღებს მაღალტექნიკურ ფეხ- თელებს.

955 წლის სეზონში საქართველოს პირველობაზე მონა- გუნდებს შორის ადგილი ჰქონდა უდისციპლინობის ებს — მსაჯებთან შელაპარაკებას, ხულიგნურ გამოსვ- წელს მსგავსი რამ არ უნდა გამეორდეს. წესრიგის ღვევთა წინააღმდეგ უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი ის, ვინც უხამსი ქცევით ბღალავს საბჭოთა სპორტსმე- სახელს, ავტორიტეტს ულახავს საბჭოთა სპორტს, უნდა დევნოს ჩვენი რიგებიდან.

სტადიონებზე, საკავშირო თუ რესპუბლიკურ პირველო- მატჩების მიმდინარეობის დროს, საკმარისი როდია, მარტო ფეხბურთელები აჩვენებდნენ კულტურული ქცე- მუშებს, საჭიროა ასე მოიქცნენ მაყურებლებიც, რომ- ლთაგან ზოგიერთს მატჩის დროს შეუკავებლად უჭირავს არღვევს საერთო წესრიგს, უმიზნოდ ყვირის და ამით ალებას არ აძლევს სხვებს ნორმალურ ვითარებაში უყუ- შეჯიბრებას. ასეთი უწესრიგო მაყურებლის წინააღმდეგ ამ უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, მოვუწოდოთ წესრიგისაკენ.

საბჭოთა მაყურებელი საქვეყნოდ ცნობილია თავისი მი- ძოებლობით. იგი შეჯიბრებაზე მოდის, რომ იხილოს ნამ- ლი სპორტული ბრძოლა, საბჭოთა ფეხბურთის მაღალი ი. ამიტომ სტადიონის დირექციები ყოველმხრივ უნდა ლობდნენ მატჩები ჩატარდეს დანიშნულ დროზე. მაყუ- ლთა ფართო ინფორმირებისათვის გამოყენებულ უნდა კარგად გაფორმებული პროგრამები, რადიო, რათა მა- ბელს გავაცნოთ თამაშის წესები, მონაწილე გუნდების დგენლობა, სპორტის ახალი ამბები.

1956 წლის ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლა დაძაბული ბა. წარმატებას მიაღწევს ის, ვინც გამოავლენს მაღალ- ნიკურ თამაშს, შეუპოვრად იბრძოლებს გამარჯვები- ვის.

ახალ წარმატებებს გისურვებთ, ფეხბურთელებო!

პრეტენდენტთა ტურნირი

I ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა სმისლოვ-საბოს და ფილიპ-სპასკის შეხვედრები. პოზიციის სწრაფი გამარტივების შემდეგ პარტიებში ყაიმი იყო ფიქსირებული.

შედარებით მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა სხვა პარტიებში რომლებიც არ დამთავრებულა.

II ტურში პეტროსიანმა შესანიშნავად გაითამაშა ბრონშტეინის წინააღმდეგ დებიუტი და სტრატეგიულად მოსაგები მდგომარეობა მიიღო, მაგრამ 36-ე სვლაზე პეტროსიანმა დაუშვა უხეში შეცდომა. მან ვერ შეამჩნია, რომ მისი ლაზიერი მეფის ქვეშ იმყოფებოდა. როგორც კი ბრონშტეინმა აიყვანა ლაზიერი, პეტროსიანმა თავი დამარცხებულად ცნო.

ყაიმით დამთავრდა სპასკი-კერესის და საბო-პანოს პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გელერმა მოუგო პეტროსიანს და წააგო სმისლოვთან. პილნიკი დანებდა პანოს, ხოლო ყაიმზე შეთანხმდნენ კერეს-ბრონშტეინი და ფილიპ-პილნიკი.

III ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. ფილიპმა საბოსთან მოიპოვა გამარჯვება, კერესმა — პილნიკთან. რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ბრონშტეინ-სპასკის შეხვედრა. ორი პარტია გადაიდო.

III ტურის შემდეგ ბრონშტეინს, კერესს და ფილიპს 2-2 ქულა აქვთ.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ერევანი. 31 მარტი. ერევნის სტადიონზე გაიმართა მატჩი „შახტიორსა“ (სტალინო) და „ტორპედოს“ (მოსკოვი) შორის.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

• • •

ბაქო. 31 მარტი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და ლენინგრადის „შრომითი რეზერვები“.

მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.



◆

კიევში დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტანვარჯიშში. მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები. ქალთა შორის გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელმაც 376,72 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილი დაიკავეს ჩეხებმა, მესამე — უნგრელებმა. ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესები კვლავ საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ. უნგრეთისა და ბულგარეთის სპორტსმენები გამოვიდნენ II და III ადგილებზე.

• • •

სურათზე: საბჭოთა სპორტსმენი ვ. ლიპატოვი ასრულებს ვარჯიშს რგოლებზე.

◆

მ. შიშოვი — რესპუბლიკის ჩემპიონი

ჩემპიონატის ბოლო XVI და XVII ტურები მოულოდნელობით აღინიშნა. პირველობის ლიდერმა ბუსლაევმა ცხარე ბრძოლებში დემურიასა და გაფრინდაშვილთან დამარცხება განიცადა. ამით ისარგებლა შიშოვმა, რომელმაც კალატოზიშვილთან ყაიმის შემდეგ მოუგო მაჭავარიანს და მოიპოვა საქართველოს 1956 წლის ჩემპიონის სახელი. გურგენიძემაც კაკიაშვილსა და გუგუნავასთან გამარჯვებით გაუსწრო ბუსლაევს.

როგორც ცნობილია, ჩემპიონატში ექვსი გამარჯვებული გაემგზავრება ერევანში, სადაც მაისში მოეწყობა საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო პირველობის ზონალური ტურნირი. გიორგაძემ და ბლაგიძემ ბოლო პარტიებში მტკიცე თამაშით გაინაღდეს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება. სოროკინმა XVII ტურში ფერსამიასთან პარტიის ყაიმით დამთავრებით დააგროვა იმდენივე ქულა, რამდენიც კალატოზიშვილმა. ზონალური ტურნირის მეექვსე მონაწილე მათ შორის დამატებით შეჯიბრებაში გამოირკვევა.

ამრიგად, საქართველოს XVII საჭადრაკო ჩემპიონატი დამთავრდა: I ადგილი დაიკავა ოსტატმა მ. შიშოვმა — 14 ქულა, II — ოსტატმა ბ. გურგენიძემ — 13,5, III — ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა — 12,5, IV — ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ — 11,5, V — ოსტატობის კანდიდატმა ა. ბლაგიძემ — 11, VI-VII ოსტატობის კანდიდატმა ნ. სოროკინმა და გ. კალატოზიშვილმა — 10,5 ქულა თითოეულს. შემდეგ არიან: ოსტატობის კანდიდატი ლ. გერშკოვიჩი — 9,5, რ. კაკიაშვილი და ა. რაზოვსკი — 8,5 თითოეულს, მ. დემურია (ზუგდიდი) — 8, გ. მაჭავარიანი — 7,5, ე. გაფრინდაშვილი — 6,5, მ. ზვიადაძე — 6, ე. ფერსამია — 5,5, ს. ელბაქიძე — 4, ო. გასიევი — 3,5 და ს. გუგუნავა — 2.

დედაქალაქის სპარტაკიადა

სპუბლიკური სპარტაკიადის მო- ებასთან დაკავშირებით ფიზ- ტურისა და სპორტის თბილი- კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ხილაძემ განაცხადა:

სპარტაკიადისათვის მზადება ლი წლის პირველი ნახევრიდან წყეთ. საფუძვლიანად დამუშა- ლი დებულება დროულად და- ეს ძირეულ კოლექტივებს, შე- სპარტაკიადის საორგანიზაციო ტეტი თბილისის აღმასკომის ჯდომარის მოადგილის ბ. ლო- ს ხელმძღვანელობით. საორგა- ციო კომიტეტმა მნიშვნელოვანი ობა გასწია სპარტაკიადის ორ- ზებულად ჩატარებისათვის.

მდინარე წლის იანვარში დაიწ- მიდასაკოლექტივო სპარტაკია- რომლებიც თებერვლის ბო- მდე გაგრძელდა. შეჯიბრებები ნიზებულად ჩაატარეს ტრამვაი- ლეიბუსის სამმართველოს, კი- ის სახელობის ჩარხმშენებელი ნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომ- ის, უდ-კამვოლის ფაბრიკის, სახელობის თბილისის სა- უნივერსიტეტის, კირო- სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

მარტის პირველ რიცხვებიდან დედაქალაქის რაიონებში მოეწყო სპარტაკიადის მეორე ეტაპი, რაც ახალგაზრდობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. ამჟამად თბილისის სპორტულ ბაზებზე საქალაქო სპარტაკიადის დასკვნით ეტაპში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ერთმანეთს ებრძვიან უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ნაკრები გუნდები. ჯერჯერობით წინ მიდიან პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის ნაკრები კოლექტივები.

15 აპრილამდე უნდა დამთავრდეს მოსწავლეთა და მუშა-მოსამსახურეთა, აგრეთვე „სპარტაკის“, „დინამოს“, „შრომითი რეზერვებისა“ და ოფიცერთა საოლქო სახლის ფიზკულტურელთა საქალაქო სპარტაკიადები, ხოლო 22 აპრილს „დინამოს“ სტადიონზე აღიმართება თბილისის სპარტაკიადის საბოლოო ეტაპის ალამი.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეჯიბრებებში დაიშვებიან პროფკავშირების, თბილისის განათლების განყოფილების, უმაღლესი სასწავლებლების, ოფიცერთა საოლქო სახლის, „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „შრომითი რეზერვების“ 2600-მდე სპორტსმენი. ისინი ლენინის სახელობის და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზებში, „დინამოსა“ და ლენინის სახელობის სტადიონებზე, კიროვის სახელობის პარკის მოედნებზე ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის 21 სახეობაში.

ამ ღონისძიების დამთავრების შემდეგ ერთხელ კიდევ გადახალისდება ქალაქის ნაკრები გუნდები, რომლებიც გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით დიდი ხანია შეუდგნენ წვრთნას. სპორტსმენთა მომზადების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო საწვრთნელი მატჩები მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, როსტოვის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების ნაკრებ გუნდებთან კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშში და სპორტის სხვა სახეობაში.

სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს მოცურავეებმა და ძალოსნებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში. კარგ სპორტულ ფორმაში არიან მოფარიკავეები, სტენდზე მსროლელები, კალათბურთელები, ხუთჭიდელები, წყალბურთელები და მოჭიდავეები, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მძლეოსნებზე. მიუხედავად იმისა რომ გუნდი დაკომპლექტებულია კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდებით, მათი შედეგები ჯერ კიდევ დაბალია. სუსტადაა მომზადებული ტყვიით მსროლელთა, ნიჩბოსანთა და ცხენოსანთა გუნდები. ისინი განიცდიან ბაიდარების, კანოების, სამიზნე ვაზნების, სპორტული ცხენების ნაკლებობას.

თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციები ყოველმხრივ შეეცდებიან უმოკლეს დროში აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებები და ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაატარონ საქალაქო სპარტაკიადის დასკვნითი ნაწილი, წარმატებით გამოვიდნენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე.



• • •

სურათზე: საქართველოს სსრ სპარტაკიადის მონაწილის სამკერდე ნიშანი.

ნახ. გ. იაშვილისა.

რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულ

„პრავდის“ 28 მარტის სარედაქციო სტატია

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, რომელმაც შეიმუშავა კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის გრანდიოზული პროგრამა, ღრმა მარქსისტულ-ლენინური გაშუქება მიეცა სოციალისტურ მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის მასების გადამწყვეტი როლის საკითხს და იმ საკითხს, თუ რა ზიანი მოაქვს პიროვნების კულტს. ყრილობამ გადაჭრით დაგმო პიროვნების კულტი, როგორც უცხო მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის.

პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია:

„კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს, ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში, და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედნი არიან ხალხის მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მოიწონა მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა.

რატომ გააჩაღა ჩვენმა პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების წინააღმდეგ? იმიტომ, რომ პიროვნების კულტი ნიშნავს ცალკეული ადამიანების უზომოდ განდიდებას, მათთვის ზებუნებრივი ნიშნებისა და თვისებების მიკუთვნებას, მათ გადაქცევას თითქმის სასწაულმოქმედებად და მათ თაყვანისცემას. ასეთი არასწორი, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო წარმოდგენა ადამიანზე, სახელდობრ ი. ბ. სტალინზე, შეიქმნა და ინერგებოდა ჩვენში მრავალი წლის მანძილზე.

უდავოა, რომ ი. ბ. სტალინს დიდი დამსახურება აქვს ჩვენი პარტიის, მუშათა კლასის წინაშე და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე. საყოველთაოდ ცნობილია მისი როლი სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში, სამოქალაქო ომში, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ეკავა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დიდმნიშვნელოვანი პოსტი, ი. ბ. სტალინი დაწინაურდა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა რიცხვში. იგი აქტიურად, განსაკუთრებით პირველ წლებში ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად იბრძოდა ლენინიზმისათვის, ლენინური მოძღვრების დამახინჯებლებისა და მტრების წინააღმდეგ. სტალინი იყო ერთერთი უძლიერესი მარქსისტი, მისი შრომები, მისი ლოგიკა, ნება დიდ ზეგავლენას ახდენდა კადრებზე, პარტიის მუშაობაზე.

ხელმძღვანელობდა რა დიდი ლენინის მოძღვრებით, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით დიდი მუშაობა გააჩაღა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის და მოიპოვა ყველასათვის ცნობილი ისტორიული გამარჯვებანი. ეს გამარჯვებანი პარტიამ მოიპოვა შეურიგებელი იდეური ბრძოლით ლენინიზმისადმი სხვადასხვა მტრული პოლიტიკური მიმდინარეობის — ტროცკისტების, ზინოვიეველების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა აეცდინა პარტია ერთადერთი სწორი ლენინური გზიდან. იმ დროს სტალინმა მოიპოვა პოპულარობა პარტიაში, მისი სიმპათია და მხარდაჭერა, ცნობილი გახდა ხალხში. მაგრამ თანდათან თავს იჩენდა ის ნიშნები და თვისებები სტალინის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში, რომლებიც შემდეგ გადაიქცა პიროვნების კულტად. პიროვნების კულტი წარმოიშვა და განვითარდა მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდეს ისტორიულ მონაპოვართა, სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის უდიდეს წარმატებათა, სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის ფონზე. არ ეძლეოდა რა საკმარისად სწორი მარქსისტულ-ლენინური განმარტება, ეს გიგანტური წარმატებანი ახალი საზოგადოების მშენებლობაში, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ აღმოჩენილ ისტორიულ კანონზომიერებათა საფუძველზე, არამართებულად მიეწერებოდა ერთი ადამიანის—სტალინის დამსახურებას და მათ ხსნიდნენ მისი, როგორც ხელმძღვანელის რაღაც განსაკუთრებული ღირსებებით. არ ჰქონდა რა პირადი თავმდაბლობა, იგი არათუ არ აღკვეთავდა იმ ხოტბას და ქება-დიდებას, რომლებიც მისი მისამართით გაისმოდა, არამედ ყოველნაირად უჭერდა მხარს და ყოველი ღონისძიებით აქეზებდა ამას. დროთა განმავლობაში პიროვნების ამ კულტს სულ უფრო მახინჯი ფორმები ეძლეოდა და მან სერიოზული ზიანი მიაყენა საქმეს.

თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ი. ბ. სტალინის ამგვარი პრაქტიკა ნიშნავდა ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევას და ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებისათვის — მარქსის, ენგელსისა და ლენინისათვის უაღრესად უცხო და ანტიპათიური იყო პიროვნების კულტის რაიმე გამოვლინება. ისინი ძირშივე აღკვეთავდნენ მათი პირადი განდიდების ყოველგვარ ცდას, საიდანაც უნდა ყოფილიყო ეს ცდა. მაამებლობა, ამბობდა მარქსი, მასში ყველაზე მეტ ზიზღს იწვევს.

მარქსი და ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდნენ და დასცინოდნენ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის პატივმოყვარეობასა და ყოყოჩობას. ისინი, მაგალითად, მწარედ დასცინოდნენ ლასალის წვრილბურჟუაზიულ ნიშნებს, მის „ტრაბახა თვითგანდიდებას“, მის მისწრაფებას „მოსჩვენებოდა თავის თავს არაჩვეულებრივად დიდმნიშვნელოვნად“, ისინი გადაჭრით ილაშქრებდნენ ლასალიანელთა განზრახვის წინააღმდეგ შეექმნათ „ლასალის მაამებელი კულტი“.

გერმანელი პოლიტიკური მოღვაწის ვილჰელმ ბლოსისადმი წერილში მარქსი წერდა: „...ყოველგვარი პიროვნების კულტისადმი მტრული დამოკიდებულების გამო მე ინტერნაციონალის არსებობის დროს არასოდეს არ ვაძლევდი ნებას გამოექვეყნებინათ მრავალი მიმართვა, რომლებითაც აღიარებული იყო ჩემი დამსახურება და რომლებითაც თავს მაბეზრებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან, — მე არც კი ვპასუხობდი მათზე, შეიძლება მხოლოდ იშვიათად ვტუქსავდი მათთვის. ენგელსისა და ჩემი პირველი შესვლა კომუნისტთა საიდუმლო საზოგადოებაში მოხდა იმ პირობით, რომ წესდებიდან ამოღებული იქნებოდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ცრუმორწმუნეობრივ თაყვანისცემას ავტორიტეტთა წინაშე (ლასალი შემდეგ სწორედ პირიქით მოიქცა)“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., 1-ლი გამოც., ტომი XXVI, გვ. 487-488).

ენგელსი, პასუხად წინადადებისა მოეწყოთ მისი დაბადების 71 წლისთავის გამო მუსიკალური პატივისცემა, უპასუხებდა მის მომწყობთ: „მარქსიც და მეც, ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვიყავით ყოველგვარი საჯარო დემონსტრაციისა ცალკეული პირების მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას რაიმე მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა; ყველაზე მეტად კი ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ისეთი დემონსტრაციებისა, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეში პირადად ჩვენ გვეხებოდა“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტომი XXVIII, გვ. 385).

ცნობილია ვ. ი. ლენინის სიტყვა, წარმოთქმული კრებაზე, რომელიც მოაწყო პარტიის მოსკოვის კომიტეტმა მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო. ამ სიტყვაში ვლადიმერ ილიას-ძე თხოულობდა, რომ იგი გაეთავისუფლებინათ საიუბილეო სიტყვების მოსმენისაგან, „ამიერიდან საზოგადოდ გაგვათავისუფლონ ამგვარი საიუბილეო დღესასწაულებისაგან“. ლენინი ლაპარაკობდა ყველა გაამპარტავნებული ადამიანის სულელურ, სამარცხვინო და სასაცილო მდგომარეობაზე და გვაფრთხილებდა, რომ ბრწყინვალე გამარჯვებებსა და წარმატებებს არავითარ შემთხვევაში არ ჩაეყენებინათ ჩვენი პარტია „ძალიან სახიფათო მდგომარეობაში — სახელდობრ, იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც გაამპარტავნდა“. (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 30, გვ. 645). ყველასათვის ცნობილია ვლადიმერ ილიას-ძის უდიდესი თავმდაბლობა და უბრალოება. მ. გორკის მოჰყავს სორმოველი მუშის სიტყვები, რომელმაც მის კითხვაზე, თუ რა არის ვ. ი. ლენინის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, უპასუხა: „უბრალოება. უბრალოა, როგორც სიმართლე“. უბრალოება ის ღირსებაა, რომელსაც მარქსიც, მისი საკუთარი სიტყვებით, ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანებში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ი. ბ. სტალინის თხზულებებში არ იყოს აზრები, რომლებიც გმობენ პიროვნებათა გაუმართლებელ ქება-დიდებას და მასების როლის დამცირებას. ეს აზრები, როგორც წესი, არ სცილდებოდა ზოგადი, განყენებული მსჯელობის ფარგლებს, საქმით კი არავითარი წინააღმდეგობა არ ეწეოდა პირადი განდიდების სულ უფრო მზარდ პრაქტიკას, რომელსაც იგი თვითონ ყოველნაირად ახალისებდა, ხოლო ხშირად ეს პრაქტიკა თვითგანდიდების ფორმით გამოდიოდა.

* * *

იყვნენ რა საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნელნი, თავიანთი დამსახურებისადმი მორიდებულნი, მარქსი, ენგელსი, ლენინი დაუცხრომლად ამხილებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგების ყველა ცდას თეორიულად დაესაბუთებინათ ცალკეულ პიროვნებათა კულტი. ისინი „გმირისა და ბრბოს“ იდეალისტურ თეორიებს უპირისპირებდნენ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, რომლის თანახმად მხოლოდ ხალხი, მშრომელი მასები არიან ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი.

მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემუშავებისას, მუშათა კლასის, როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლის მსოფლიო-ისტორიული როლის გამორკვევისა და დასაბუთებისას მარქსიზმი შეურიგებლად იბრძოდა არასწორ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ისტორიას ქმნიან გამოჩენილი პიროვნებანი.

ისტორიაზე ამ არასწორ შეხედულებებს მარქსიზმ-ლენინიზმმა დაუპირისპირა მოძღვრება იმის შესახებ, რომ ხალხია ისტორიის ნამდვილი შემოქმედი და რაც უფრო ღრმად და ვრცლად ხდება საზოგადოებრივი გარდაქმნები, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხალხის მასები იღებენ მათში მონაწილეობას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც გიგანტური გავლენა იქონია მსოფლიო ისტორიის მთელ შემდგომ მსვლელობაზე, მოახდინა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირით და საშუალო გლეხობის მხარდაჭერით,
კომუნისტური პარტიის ხელმძ
ლობით. ეს რევოლუცია მო
ხალხის უმრავლესობამ და
არის იგი სახალხო რევოლუცია.
თივე სახალხოა ჩინეთის დიდი
ლუცია, რევოლუციური სოციალ
რი გარდაქმნები, რომლებიც
სახალხო დემოკრატიის ყველა
ნაში.

განავითარა რა მარქსისა და
სის მიერ აღმოჩენილი ისტორი
ტერიალისტური გაგება, ვ. ი.
მთელ თავის სიცოცხლეში შე
ლად ებრძოდა მარქსიზმისადმი
ხალხოსნურ, ხოლო შემდეგ
შეხედულებებს „ყოვლისშემძლ
რების“ და უფერული, უს
უმოქმედო „ბრბოს“ შესახებ.

„მარქსიზმი, — წერს ლენი
იმით განსხვავდება ყველა სხვა
ლისტური თეორიისაგან, რომ
უცხოოდ აერთებს საქმის ობ
მდგომარეობისა და ევოლუცი
ექტური მსვლელობის ანალიზ
მეცნიერულ სიფხიზლეს და
რევოლუციური ენერგიის, რე
ციური შემოქმედების, რევოლ
ინიციატივის მნიშვნელობის გა
აღიარებას, — აგრეთვე, რა თ
და, იმ ცალკეულ პიროვნებათა,
თა, ორგანიზაციათა და პარტია
შვნელობის აღიარებას, რომ
უნარი შესწევთ მონახონ და
ხორციელონ კავშირი ამა თუ
სებთან“. (თხზ., ტომი 13, გვ. 29

ისტორიაში პიროვნების როლ
მასების როლის სწორი გაგებ
ბევრი რამ გააკეთა ერთ-ერთმა
ჩენილმა მარქსისტმა გ. ვ. პლეხ
რომლის აზრით სწორი არ იქნ
ვიჩნიოთ, რომ ისტორია არის გ
ნილ პიროვნებათა საქმე, რომ
თვითნებურად უნერგავენ ცნებ
უნათლებელ მორჩილ მასას; ის
ამბობდა იგი, ხალხი აკეთებს.

მარქსიზმი არ უარყოფს გამ
ადამიანთა როლს ისტორიაში,
მელთა ბელადების როლს რე
ციურ-გამათავისუფლებელი მ
ბის ხელმძღვანელობაში, ახალი
გადოების მშენებლობაში. ვ. ი.
მთელი ძალით აღნიშნა რევოლ
ბელადების, როგორც მასების
ზატორების როლი. მარქსიზმ
იზმის კლასიკოსთა მიერ შემუ
ლი ისტორიის მატერიალისტურ
ბა, იმის აღიარება, რომ მშრომ
სები, ხალხი არიან ახალი საზო
ბის შემოქმედნი, საშუალებას
ლევს სწორად გავიგოთ და შე
ბელადების, ორგანიზატორების,
ნების, გმირების როლი, რომ
ქმნის და აწინაურებს თვით
გამოჩენილ პიროვნებებს, თავი
ვისებურებათა მეოხებით, რა
ყველაზე უნარიანს ხდის საზოგ
რივ ინტერესებისადმი სამსახუ
ვის, შეუძლიათ სერიოზული
შეასრულონ საზოგადოებაში, რ
მასების ორგანიზატორებმა, წინ
ლებმა, რომლებსაც მოვლენებ
უფრო ღრმად და ხედავენ
შორს, ვიდრე სხვები.

ამხილებდა რა წვრილბურჟუ
მონარქისტო ინტელიგენტ
ლებს, რომლებიც ილაშქრებდნ
ტიის ორგანიზატორული როლ
ავტორიტეტის წინააღმდეგ,
ამბობდა:

„მუშათა კლასს, რომელიც
მსოფლიოში აწარმოებს ძნელსა
უპოვარ ბრძოლას სრული გ
სუფლებისათვის, ავტორიტეტ
ჭიროება, — მაგრამ, რა თქმ
მხოლოდ იმ აზრით, რა
ახალგაზრდა მუშებს ესაჭი
ძველ მებრძოლთა გამოცდილ
ვრისა და ექსპლოატაციის წინა
იმ მებრძოლთა, რომლებსაც
გადიცავა ჩაეტარებიათ, მონაწ
მიუღიათ მთელ რიგ რევოლ
და რომელნიც გამობრძმედილ
ვოლუციური ტრადიციებით
თო პოლიტიკური თვალთახ
პროლეტარიატის მსოფლიო ბ
ავტორიტეტი ესაჭიროება ყველ
ნის პროლეტარიებს... თვითეუ
ნის მოწინავე შეგნებული, უ

(გაგრძელება მე-3 გვ.)

რატომ არის უცხო მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პიროვნების კულტი?

(დასასრული)

ბრძოლი მუშების კოლექტიურობა ვლა აითს საკითხში ყოველთვის ველაზე დიდი ავტორიტეტი იქნება". ხზ. ტომი 11, გვ. 497—498).

საბჭოთა ხალხის ბელადი და ორგა- ნზატორი მის ბრძოლაში ახალი საზო- ოებისათვის არის კომუნისტური რტია, რომელიც შედგება მუშათა ასის, მშრომელი გლეხობისა და ინ- ელიგენციის მოწინავე ნაწილისაგან, ლო პარტიის კოლექტიური ხელმძღ- ნელი, მისი პრინციპების დამცველი ა განმმარტებელი არის ცენტრალუ- ი კომიტეტი, რომელსაც ირჩევენ რტიის საუკეთესო ძალებისაგან, ომლებიც ერთ მთლიანობად აერთია- ნებენ მის მრავალმხრივ გამოცდილე- ბას.

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ლხს უფლება აქვთ იამაყონ სახელ- წიფო მშენებლობის, ეკონომიკისა და ლტურის ყველა დარგში თავიანთი თავდადებული შრომის, თავიანთი შე- ქმედებითი საქმიანობის დიდი ნა- ფით. საბჭოთა კავშირის, ჩვენი სა- ოგადოებრივი და სახელმწიფოებრი- ი წყობილების საშინაო და საგარეო დგომარეობა ახლა უფრო მტკიცე და რყევია, ვიდრე ოდესმე.

საბჭოთა წყობილების დიადმა ძა- ამ, სოციალისტური სისტემის გიგან- ურმა უპირატესობამ საშუალება მის- ს პარტიას, სახელმწიფოს, ხალხს და- სახოთ მეექვსე ხუთწლედში სახალხო ურნეობის განვითარების ახალი ოცანები, რომლებმაც თავისი გრან- ოზულობით განაცვიფრეს მთელი ოფლიო, და შესდგომოდნენ ამ ამო- ანების შესრულებას.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავში- ი, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მე- ობრობა, ხალხის დაუცხრომელი სიყ- რული სოციალისტური სამშობლო- დმი, მთელი საბჭოთა საზოგადოების რყევი მორალურ-პოლიტიკური ერ- იანობა საბჭოთა წყობილების, მისი იერებისა და აყვავების გრანიტის უძველია. ბრძნული ხელმძღვანე- ობა ჩვენი სახელოვანი კომუნისტუ- ი პარტიისა, რომელსაც მტკიცედ მი- ყავს ჩვენი ქვეყანა ლენინური გზით, ყო, არის და იქნება საბჭოთა საზოგა- ოების ძალისა და სიმტკიცის წყარო, ომელიც განუხრელად მიდის წინ თა- სი დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმი- კენ.

* * *

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელმწიფოს დამაარსებელი და ბელა- ი ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთ- ებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პარ- იის როლს საბჭოთა სახელმწიფოსად- ი და სოციალისტური მშენებლობის ელი მსვლელობისადმი ხელმძღვანე- ობაში. აღნიშნავდა რა კომუნისტური რტიის, როგორც ჩვენი ქვეყნის მმარ- ველი პარტიის, დიდ პასუხისმგებლო- ს, ლენინი ზუსტად იცავდა თვითონ ა მოითხოვდა ყველა კომუნისტისაგან ეცვათ პარტიული ცხოვრების ნორ- ბი და ხელმძღვანელობის პრინციპე- , რომლებიც პარტიამ დიდი გამოც- ლებით შეიმუშავა. უმთავრესი ამ ინციპებში არის **ხელმძღვანელობის ლექტიურობა**, რომელიც გამომდინა- ეობს თვით პარტიის ბუნებიდან, პარ- იისა, რომელსაც საფუძვლად უდევს მოკრატიული ცენტრალიზმი, სადაც ეხამებულია პარტიის წევრთა აქტივო- ა, ინიციატივა და თვითმოქმედება და კინისებური დისციპლინა. ლენინი ამ- ობდა, რომ რევოლუცია წამოაყენებს ოლექტიურ ორგანიზატორულ ტა- ანტს, ურომლისოდაც პროლეტარე- ის მილიონიანი არმიები ვერ მიაღწე- ენ გამარჯვებას". (თხზ., ტომი 29, გვ. 7).

პიროვნების კულტმა და ი. ბ. ტალინის სიცოცხლისა და მოღვაწეო- ის უკანასკნელ პერიოდში ამ კულტის ავლენით შექმნილმა ხელმძღვანელო- ის პრაქტიკამ დიდი ზიანი მოგვაყენა. ს გარემოება, რომ სტალინი უგულე- ელყოფდა პარტიული ცხოვრების ნორ- ებს და პარტიული ხელმძღვანელობის ოლექტიურობის პრინციპს, ხშირად რთპიროვნულად წყვეტდა საკითხებს, ღვევდა პარტიული პრინციპებისა და პარტიული დემოკრატიის დამახინჯებას, რევოლუციური კანონიერების დარღვევას, დაუსაბუთებელ რეპრესიებს.

მხოლოდ პიროვნების კულტისა და მასთან დაკავშირებულ პარტიული ცხოვრების ნორმების დარღვევათა შედეგად შეძლეს იმპერიალიზმის ისეთმა პირწავარდნილმა აგენტმა, როგორიც იყო ბერია, და მისმა თანამონაწილეებმა შეპარულიყვნენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ პოსტებზე. იმ გარემოებამ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოააშკარავა და გაანადგურა ბერიას საზიზღარი გამცემლური ბანდა, შესაძლებელი გახადა აღმოგვეფხვრა სოციალისტური კანონიერების დარღვევანი და სავსებით აღგვედგინა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, სოციალისტური კანონიერების ნორმები და პრინციპები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის XX ყრილობის მტკიცე გამოსვლას პიროვნების კულტის წინააღმდეგ, ამ კულტის მავნებლობის თანმიმდევრულ, ფართო ახსნა-განმარტებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეგულარული მოწყობა, პარტიის სხვა უმაღლესი ორგანოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების სისტემატური მუშაობა, კოლექტიურ გადაწყვეტილებათა ფართო განხილვა და შემუშავება ჩვენი პარტიის გარდუვალი წესია, ჩვენი პარტიისა, რომელიც პასუხისმგებელია დიდი სახელმწიფოს, ხალხის ბედისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

„მასას, — გვასწავლიდა ლენინი, — უნდა ჰქონდეს თავისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელების არჩევის უფლება. მასას უნდა ჰქონდეს მათი შეცვლის უფლება, მასას უნდა ჰქონდეს უფლება იცოდეს და შეამოწმოს მათი მოღვაწეობის ყოველი თვით უმცირესი ნაბიჯიც კი. მასას უნდა ჰქონდეს უფლება წამოაყენოს მასის გამოუკლებლივ ყველა მუშა წევრი განმკარგულებელ ფუნქციებზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კოლექტიური შრომის პროცესის დატოვება შეიძლებოდეს განსაზღვრული ხელმძღვანელობის გარეშე, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ზუსტად დადგენის გარეშე, ხელმძღვანელის ნებისყოფის ერთიანობით შექმნილი უსასტიკესი წესრიგის გარეშე". (თხზ. ტ. 27, გვ. 245).

ვიბრძვით რა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, უნდა გვახსოვდეს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა წვრილბურჟუაზიული, ანარქისტული შეხედულებანი, რომლებიც უარყოფენ მასების ხელმძღვანელების, ორგანიზატორების როლს. სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება გვასწავლის, რომ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის, სოციალისტური დემოკრატიზმის ფართო განვითარების პრინციპი სრულიადაც არ უარყოფს ცალკეული ხელმძღვანელის როლსა და პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ცნობილია აგრეთვე, რომ კომუნისტური პარტია იცავდა და იცავს ხელმძღვანელობის ერთმმართველობის პრინციპს საწარმოებში, სამხედრო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, პარტიის ყველა რგოლში, თავიდან ბოლომდე კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის აღსადგენად, თვითკრიტიკისა და ნაკლოვანებათა კრიტიკის გასაჩაღებლად, უმნიშვნელოვანეს საკითხთა კოლექტიური განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენამ და პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლამ მშრომელთა ფართო მასების აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია. ეს კეთილმყოფ გავლენას ახდენს მთელ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე.

პიროვნების კულტი ხელს უწყობდა იმას, რომ პარტიული და სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობაში გავრცელებულიყო მანკიერი მეთოდი — შიშველი ადმინისტრირება, ნერგავდა ქვემოდან მომდინარე ინიციატივის უგულებელყოფას. მაგალითად, სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში. ამ შეცდომებმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების უყურადღებოდ მიტოვება. ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ცნობილია, ამხილა ეს შეცდომები და განახორციელა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, რაც უკვე გვაძლევს კარგ შედეგებს.

პიროვნების კულტის შედეგად ვითარდებოდა ისეთი მახინჯი მოვლენები, როგორიც არის ნაკლოვანებათა მიჩქმალვა, სინამდვილის შელამაზება, თვალის ახვევა. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია მლიქვნელი, მეალილუე ადამიანები, რომელნიც შეეჩვივნენ შპარგალით ლაპარაკს, რომელნიც აღზრდილი არიან პირფერობისა და მორჩილების სულისკვეთებით. პიროვნების კულტის ამ უაღრესად მავნე გადმონაშთების აღმოფხვრა და დაძლევა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

პიროვნების კულტმა დიდი ზარალი მოგვაყენა იდეოლოგიური მუშაობის დარგში. თუ ავიღებთ ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის ნაშრომებს, რომლებიც დაწერილია პიროვნების კულტის გავლენით, ბევრი მათგანი წარმოადგენს ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა ციტატების ნაკრებს და მის ქება-დიდებას. პიროვნების კულტის ერთერთი მკაფიო გამოვლინებაა ი. ბ. სტალინის „მოკლე ბიოგრაფია", რომლის რედაქტირება მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. პიროვნების კულტით ბევრად არის გაჟღენთილი აგრეთვე წიგნი „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი". დოგმატიზმი და მედავითნეობა პირდაპირი შედეგია პიროვნების კულტის აყვავებისა, რომლის დროსაც მიაჩნდათ, რომ თეორიის განვითარება, წინ წაწევა, რაიმე ორიგინალურისა და ახლის გამოთქმა შეუძლია მხოლოდ ერთ კაცს — სტალინს, ხოლო დანარჩენებმა პოპულარიზაცია უნდა გაუკეთონ მის გამოთქმულ აზრებს, გადაამღერონ მისი ფორმულები. ყოველივე ეს აფერხებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებას. ასეთ ვითარებაში უგულებელყოფილი იყო პარტიის კოლექტიური აზრის როლი, რომელსაც მიჰყავს წინ თეორია, უკანა პლანზე აყენებდნენ, ღრმად არ სწავლობდნენ პარტიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განასახიერებენ პარტიის დიდ ისტორიულ გამოცდილებას, მის სიბრძნეს.

პიროვნების კულტის გარკვეული ბეჭედი აზის აგრეთვე ხელოვნებისა და ლიტერატურის მთელ რიგ ნაწარმოებებს. ბევრი ჩვენი ისტორიული და განსაკუთრებით სამხედრო კინოსურათი, ლიტერატურისა და ფერწერის ნაწარმოები მიძღვნილია უმთავრესად სტალინის პიროვნების ქება-დიდებისა და განდიდებისადმი. მაგალითად, სამხედრო კინოსურათებსა და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში დღემდე არ არის სწორად გაშუქებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ჩვენი არმიისა და ხალხის როლი დიდ სამამულო ომში, რომლებსაც ეკუთვნით ჩვენი სამშობლოს დაცვისა და ფაშისტური დამონების საფრთხისაგან მთელი კაცობრიობის გადარჩენის მსოფლიო-ისტორიული დამსახურება.

თეორიული და პრაქტიკული საქმიანობიდან პიროვნების კულტის გადმონაშთების აღმოფხვრა პარტიისა და ყველა მისი ორგანიზაციის ერთერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რათა გამოირიცხოს პიროვნების კულტის ამა თუ იმ ფორმით აღორძინების ყოველგვარი შესაძლებლობა.

ჩვენი ცხოვრებიდან პიროვნების კულტის ნაშთებისა და გადმონაშთების განდევნის დროს საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა. პარტია გვასწავლის, რომ ამ დიდი და რთული მუშაობის განხორციელების დროს არ შეიძლება დავუშვათ უკიდურესობა და აჩქარება. სწორი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რომ საკმარისია ერთგვარი ადმინისტრაციული ღონისძიებანი განვახორციელოთ და პიროვნების კულტს სამუდამოდ მოეღება ბოლო. შეუწყნარებელია აგრეთვე აჩქარება დიდი თეორიული საკითხების გადაჭრაში. იდეოლოგიური საკითხებისადმი ასეთ მიდგომას შეუძლია მხოლოდ ზიანი მოგვიტანოს. პიროვნების კულტის გადმონაშთების დაძლევა მოითხოვს ფართოდ გავაჩაღოთ და გავაუმჯობესოთ პროპაგანდა და აგიტაცია, მთელი ჩვენი იდეოლოგიური, თეორიული მუშაობა.

დიადი შთამაგონებელი და წარმმართველი საქმიანობა კომუნისტური პარტიისა, რომელსაც ლენინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა — აი ყველა ჩვენი წარმატებისა და გამარჯვების მიზეზი და წყარო. სისულელე, თითქმის ცრუმორწმუნეობა იქნება, წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ჩვენი ისტორიული გამარჯვება მარტო ერთი კაცის ხელმძღვანელობის ნაყოფია, როგორც ეს ხდებოდა პიროვნების კულტის აყვავების პერიოდში. ყველა ეს გამარჯვება — ხალხისა და პარტიის უდიდესი გაქანების საქმიანობის შედეგი — მკაფიოდ გამოხატავს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც აღზრდილია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, რომელსაც ნახევარი საუკუნის მუშაობის გამოცდილება აქვს და გამობრძმედილია რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, აურაცხელი შემოქმედებითი ძალა მოეპოვება. ჯეროვნად აფასებს რა ი. ბ. სტალინის დამსახურებას, საღად აფასებს რა იმ დიდ წვლილს, რომელიც მან რევოლუციის საქმეში, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში შეიტანა, პარტიამ ამავე დროს მტკიცედ დააყენა სტალინის პიროვნების კულტის ლიკვიდაციის საკითხი, რათა სავსებით აღედგინა პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ლენინური პრინციპები და ნორმები და ამით საუკეთესო პირობები შეექმნა მთელი ჩვენი დიდი შემოქმედებითი საქმიანობისათვის კომუნიზმის მშენებლობაში.

ის ფაქტი, რომ პარტიამ სავსებით პირდაპირ და მთელი სიმტკიცით დააყენა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისადმი უცხო პიროვნების კულტის პრინციპული საკითხი, მოწმობს მის დიდ მორალურ და პოლიტიკურ ძალას, მისი ლენინური პრინციპების ურღვევობას, მის მჭიდრო კავშირს ხალხთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორიული გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორი და ურყევია, რომ იგი იყო საბჭოთა ხალხის უდიდეს გამარჯვებათა წყარო, რომ იგი შეესაბამება მშრომელთა ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, რომ იგი გვიჩვენებს კომუნიზმის ერთადერთ გზას, რომ იგი შთამაგონებელი მაგალითია მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი ძალით ცხადყო პარტიის ურღვევი ერთიანობა, მისი დარაზმულობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ის, რომ პარტიის პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი.

პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ ფართოდ განმარტონ და განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ყრილობამ დასახა.

XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ხალხს ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში.

სიტყვა ჩვენი — საქმე თქვენი

ჩვენ, სწორედ, ფეხბურთის ტრფიალნი რომ იტყვიან, ისა ვართ.

ვინ ჩვენ?

ვინა და ჩვენ — პირველყოვლისა, მე, კორნელი გოლაძე, რომელსაც გულშემატკივრობის უძველესი სტაჟი აქვს, რომელსაც ათასჯერ უნახავს ანდრო ჟორდანიასი და მისი მეგობრების თამაში და რომელსაც ისევე კარგად ახსოვს ბორის პაიჭაძისა და გაიოზ ჯეჯელავას პირველი ნაბიჯები მწვანე მინდორზე, როგორც თავისი შვილების ფეხის ადგმა ლოგინთან დაგებულ ხოხზე. შემდეგ, ჩემი მეუღლე — კორნელია გოლაძე, (ასეთი დამთხვევა თუ შეგხვედრიათ სადმე: მე კორნელი მქვიან, ჩემს მეუღლეს კი კორნელია, ორივე გულშემატკივრები ვართ და ორივეს „საფეხბურთო" სახელები გვქვია). მერე ჩემი შვილები, ძმა, მეზობლები და... და თქვენც. მე ხომ ვიცი, რომ თქვენც ფეხბურთის ნამდვილი ტრფიალი ხართ.

ჩვენ ბევრნი ვართ, ისე ბევრი, რომ თბილისის „დინამოს" სტადიონი კი არა მთელი თბილისი რომ ფეხბურთის მოედნად იქცეს და ტრიბუნები მთაწმინდის კალთებზე მოეწყოს, იქაც ვერ დავეტეოდით. ამაში დამერწმუნება ყველა, ვისაც თავის კისერზე გამოუცდია ფეხბურთის ბილეთის შოვნით გადატანილი ტანჯვა, ვინც ორი საათით ადრე მიდის მატჩის დაწყებამდე და ბოლოს მაინც ორივე მხრიდან გვერდებდაზელილი და შეჭყლეტილი რის ვაივაგლახით უყურებს თამაშს.

დღეს ჩვენი დღეა — ფეხბურთელისა და გულშემატკივრის დღე. რადიო რაღაცას ლაპარაკობდა, მგონი, პირველ აპრილს მოღრუბლულობაო, ნალექებიო, ზომიერიო, გრადუსებიო.

რა საკადრისია. დღეს ჩვენთვის გაზაფხულია. ნამდვილი გაზაფხული — მზითა და სითბოთი, ბურთითა და მწვანე მინდვრით, ბულბულის ტკბილი სტვენითა და მსაჯის უფრო ტკბილი სასტვენით.

აი, ამ ფეხბურთის პირველ დღეს მინდა გულშემატკივართა მთელი კორპორაციის სახელით ორიოდე სიტყვა ვუთხრა ფეხბურთელებს, გავაგებინო ჩვენი გულისნადები და წავუყენო ჩვენი პრეტენზიები.

ჩვენ ოთხი გულშემატკივარი ვართ. მე — კორნელი, ჩემი ცოლი — კორნელია, უფროსი შვილი — ბორისი და უმცროსი — გაიოზი. მე თბილისის „დინამოს" ერთგული, ურყევი, თავდადებული მოყვარული ვარ. ამ გუნდის ავიც მინახია და კარგიც. გამიხარია და გულიც დამწყვეტია, მაგრამ ჩემი სიმპათიების ადრესატი უცვლელია — თბილისის „დინამო".

ცოლი ჩემი მიმდევარია. კორნელია თითქმის მეოთხედი საუკუნე ჩემი თანამეცხედრეა. ამ მეოთხედი საუკუნიდან ნახევარზე მეტი ჩვენ ცოლ-ქმრულ ჩხუბში გვაქვს გატარებული, მაგრამ როგორც კი საქმე თბილისის „დინამოს" ოსტატებზე მიდგება, ორივე მედგრად ვიცავთ გუნდის სახელსა და პოზიციებს.

უფრო გართულებულია საქმე ბიჭებთან. უფროსი „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე" ექომაგება თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს. ისიც, რა თქმა უნდა კანკალით ითვლის დინამოელთა ყოველ ქულას, მაგრამ სულითა და გულით არმიელების მიმდევარია და პირველ და უმთავრეს ამოცანად მიაჩნია მათი გადასვლა „ა" კლასში.

უმცროსი, გაიოზი, გაჯავრებულია. მას შემდეგ, რაც დაიშალა თბილისის „სპარტაკი" მას გული აუცრუვდა. გაცდენით, რასაკვირველია, არ გააცდენს არც ერთ თამაშს, მოგება უხარია, წაგება წყინს. მაგრამ „სპარტაკს" რომ გაიხსენებს, თვალები ცრემლებით ევსება და გულდაწყვეტილი იმეორებს:

— რა გუნდი იყო, რა გუნდი!

კარის მეზობელი გვყავს ერთი, სოკოლოვი იგნატ სერგეის-ძე, პოლკოვნიკი.

შესანიშნავი ადამიანია. დიდი ხანია არ არის რაც საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ სადილს უტყემლოდ და უკვაწარახოდ არ მიირთმევს და თავისთავს ეგნატეს უძახის. ერთმანეთს სულში ვიძვრებით, მაგრამ როგორც კი ფეხბურთზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს ცილდება, იგნატ სერგეევიჩი ხმას დაიბოხებს, ოფიციალურ პოზას მიიღებს; ცალ თითს ზევით აწევს და...

— ცდსა! — მხოლოდ ამას იტყვის. მორჩა და გათავდა. სხვა გუნდები მას სწამს იმდენად, რამდენადაც ისინი ცდსა-ს ეთამაშებიან.

ჩვენი დაუსრულებელი საფეხბურთო დავა ყოველთვის მშვიდობიანი შერიგებით მთავრდებოდა. ვიმსჯელებდით, ვეკამათებდით, ვიბაასებდით და მერე, როცა ბორისსა და გაიოზს გავისტუმრებდით, მე, ჩემი ძმა და იგნატ სერგეევიჩი დავსხდებოდით და ორიოდე ჭიქით დავაგვირგვინებდით თეორიულ ბაექრობას ფეხბურთზე.

ასე იყო უწინ.

ახლა, ეს უკანასკნელი ორი წელიწადია, საქმე შეტრიალდა. სადაო და საკამათო აღარაფერი დაგვრჩა. აღარაფერი იმიტომ, რომ ყველა ერთი აზრისა იყო: თბილისის დინამოელები ძალზე ცუდად თამაშობდნენ. იმდენად ცუდად, რომ იგნატ სერგეევიჩიც კი შეშფოთდა, მიატოვა ცდსა-ს „პლატფორმა" და კატეგორიულად განაცხადა:

— არ შეიძლება ასეთი გუნდის გაფუჭება. თბილისის „დინამოს" ძველი სახელი და ძალა ისევ უნდა აღდგეს.

და ამის დასამტკიცებლად მეათასეჯერ მაინც ამოაქვს მოსკოველი მეგობრების წერილები, სადაც მას ერთიდაიგივეს ეკითხებიან — რატომ თამაშობენ ასე ცუდად თბილისელები?

ამიტომ გადავწყვიტეთ ამ წერილის მიწერა ფეხბურთელებისათვის. ვსხედვართ მაგიდის გარშემო მე, მთელი ჩემი ოჯახი, ძმა, იგნატ სერგეევიჩი, როგორც რეპინის „ზაპოროჟელები". ვსხედვართ, ვწერთ და სრული დარწმუნებული ვართ თქვენც ჩვენთანა ხართ ჩვენი გუნდების გულშემატკივრებო, თქვენც იგივე სურვილები გაქვთ.

ჩვენს წერილებს ორი მისამართი აქვს. ორივე წერილი მოკლეა, სამართლიანი და აუცილებლად შესასრულებელი. ჩვენის აზრით, ესაა პროგრამა-მინიმუმი.

„დინამოელებს!

თქვენს გულშემატკივრებს ძლიერ გაუტყდათ გული ამ ბოლო ხანებში. თუ უწინ ლაპარაკი იყო ჩემპიონობაზე და თასის მოპოვებაზე, ახლა „ა" კლასში დარჩენა სანატრელად გაუხდა ზოგიერთს. „დინამოს" კოლექტივი, მისი გამოცდილი მწვრთნელები და ნიჭიერი ფეხბურთელები, დღეისათვის ისეთ ძალას წარმოადგენს, რომ ჩვენი პრეტენზიები კვლავ მედლებს უბრუნდება. ოქროსი არ იქნება? ვერცხლისა იყოს, ბრინჯაოსი იყოს. მთავარია, რომ თბილისის „დინამომ" აღიდგინოს ძველი ძალა და ძველებურადაც ითამაშოს — სწრაფად, ცეცხლით, ტემპერამენტით, აზარტით, ვაჟკაცურად.

ამას მოველით ჩვენ თქვენგან, ამისი გვჯერა!"

მეორე წერილი თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს ეკუთვნის.

„არმიელებს!

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილიო, ხომ გაგიგიათ. ბრძნული ანდაზაა, მაგრამ თქვენს გულშემატკივრებს შარშან პირიქით გაუხდათ საქმე. რა სიხარულს იწვევდა ჩვენში ყოველი თქვენი გამარჯვება, ყოველი ახალი ქულა, რა იმედებით ვიყავით აღსავსე!

გასახსენებლად არ ღირს ის, რაც სეზონის ბოლოს მოხდა — წაგებული მატჩები, წყალში გადაყრილი ქულები, დაკარგული პენალტები და ა. შ.

მაგრამ დავივიწყოთ ყველაფერი ეს. ახალი სეზონი იწყება, ვდგევართ ახალი ამოცანების წინაშე. მეორე ადგილი არაფრით არ გვიწყობს ხელს. მხოლოდ პირველი. გამოტყდით, სხვა ვარიანტი არც თქვენ გიწყობთ ხელს. ამიტომ არ დაზოგოთ მონდომება და ენერგია იმისათვის, რომ მიაღწიოთ იმას, რისი ძალაც შეგწევთ — „ა" კლასს".

მაშ ასე, საქართველოს ფეხბურთელებო, ჰა ბურთი და ჰა მოედანი. სიტყვა ჩვენი — საქმე თქვენი.

კორნელი გოლაძე,
ფეხბურთის დამსახურებული გულშემატკივარი.



გ. ჯეჯელავა, ა. კიკნაძე

მთელი ჩვენი იმედებით
მოგენდეთ და მოგეტმასნეთ,
თქვენი ნიჭი, სტრატეგებო,
გთხოვთ გვაჩვენოთ მოედანზე.



ა. ღოღობერიძე

ვინ წაართმევს ბურთს კაპიტანს,
ვინ გაუგლეჯს რკინის ჯაჭვებს,
ბასა აბა რა ბასაა.
დამცველს სირცხვილს თუ არ
აჭმევს.



ვ. ელოშვილი

შემოტევებს მტკიცედ დახვდი,
მოიმარჯვე ფარიც, შუბიც,
რომ მატჩებზე მარღანიამ
მოიშალოს შენთან ჩხუბი.



გ. ხოშტოლავა

მერე რაა, რომ, ბიჭებო,
დღეს პირველი აპრილია,
ხოშტოლავას მოტყუება
არც თუ ისე ადვილია.



ზ. კალოევი

გრძელი კაცის გასაჭირი
ასჯერ უთქვამთ, განა ერთხე
შენ მაღალი რომ არ იყო,
თქვი, მცველთან რას გაახერ



ა. კოტრიკაძე

მაისურზე ციფრი „შვიდი"
შეგიცვალეს ახლა „ხუთით",
სადაც უნდა თამაშობდე,
ტალკვესი ხარ ჩვენი გუნდის,



გ. ხასაია

მოედანზე ბურთისათვის
ყველგან დაჰქრი გამუდმე
მაგრამ კარის გზას გიხშობ
მცველები და აუტები.



მ. პირაევი

შენ ჩვენ შარშან მოგვევლინე,
და დღეს უკვე ყველა გიცნობს,
„წვრილ მეკარეს" არ გეგონოს
თითქოს კარიც იყოს ვიწრო.



ნ. ძიაპშიპა

პირქუშ შეხვდი თავდამსხმელებს,
დაცვის ცენტრო ჰაუვალო,
რომ ფეთებამ თმის წვერიდან
ფრჩხილებამდე გაუაროთ.



კ. განიძე

ას კილომეტრს მფარავ წუთში,
მოუმატებ ალბათ კიდევ,
დამცველები ლამის გულზე
გასკდნენ შენი გადამკიდე.



ვ. მარღანია

მაღალ ბურთებს კარგად იჭერ,
მაგრამ უფრო არის მწველი
თუ დაბალმა ბურთმა კარში
შეათრია ზლაზნით წელი.



ა. ზაზროშვილი

კვლავ სამხრეთში დაგვიბრუნდი,
გვალოდინე თუმცა წლობით,
შინაურებს, ცუდიც იყვნენ,
მაინც უფრო შეეწყობი.



ა. ჭკუასელი

დარტყმები გაქვს მართლაც
მძლ
მაგრამ ეს არ შველის საქმ
წელს ათიდან შვიდი მაინც
წასულიყოს კარისაკენ.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარი

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14

უე 00486